

კომუნიკაციურ სავარჯიშოებზე მუშაობის და სწავლების ფსიქოლოგიური თავისებურებანი (მოზრდილობის ასაკში)

ხათუნა ჩუგოშვილი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, IV სემესტრის დოქტორანტი
თსუ ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის ცენტრალური სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელი.

რეზიუმე:

ნაშრომში განხილულია რეალური სიტუაციების ფსიქოლოგიური თავისებურებების მოდელი, ასევე მოცემულია მახსოვრობის კომპონენტთან ერთად სწავლებისა და აქტივობის დონის ინტერესი და მოტივები, სწავლების სირთულეები, მისი დაძლევა მოზრდილობის ასაკში და კომუნიკაციურ სავარჯიშოებზე მუშაობა.

ანდროგოგია - მოზრდილთა პედაგოგია - ახალგაზრდა მეცნიერებაა. მომავალში ეს პედაგოგიკის თანაბარუფლებიანი დარგი გახდება. ჯერჯერობით კი მოზრდილთა სწავლების კანონზომიერებანი და, განსაკუთრებით, ინფორმაცია მათ მიერ უცხო ენის სწავლების შესახებ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ნაშრომებიდან არის ამოსაკრეფი.

ზოგიერთი ფსიქოლოგი, ვინც ენის სწავლებას იკვლევს, თვლის, რომ მეორე (არამშობლიური) ენის შეთვისებისას ასაკი ხშირად გადამწყვეტი ფაქტორია. კომუნიკაციურ აქტივობას და მის ინტენსიურ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოზრდილთა მეხსიერების დახასიათებისას ფსიქოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასაკსა და მეხსიერების სახეობას: ხანმოკლე - ხანგრძლივი, მექანიკური - შინაარსობრივი, უშუალო - შუალეობითი, მხედველობითი, სმენითი, მოძრაობითი და ა.შ. მეხსიერების ექსპერიმენტული შესწავლის ფუძემდებელი გ. ებინჰაუზი და მის შემდეგ ბევრი სხვა ფსიქოლოგიც თვლიდა, რომ მეხსიერების განვითარებაში სამი პერიოდი გამოიყოფა:

1. დაბადებიდან 20 წლამდე - მომწიფება;
2. 20-50-55 წლის ასაკამდე - კონსერვაცია;
3. დაშლა - ხნირ ასაკში.

უცხოური ენის შეთვისების უნარი 25-35 წლის ასაკში ითვლებოდა „კონსერვირებულად“, უცვლელად, მეტნაკლებად განვითარებულად, თუმცა, აშკარად უარესად, ვიდრე 14-25 წლის ასაკში. 35-40 წლის შემდეგ კი უცხოური ენის შესწავლა ცხადდებოდა ურთულეს, თითქმის შეუძლებელ ამოცანად.

უფრო გვიან ჩატარებული კვლევების, კერძოდ, ს. რუბინშტეინის და ბ. ანანიევის კვლევათა საფუძველზე გამოიტანეს დასკვნა, რომ მოზრდილთა მეხსიერება შეუჩერებლად ვითარდება, განსაკუთრებით გონებრივ შრომასთან დაკავშირებული პროფესიების ადამიანებისა. მეხსიერების ზოგიერთი კომპონენტი ასაკთან ერთად კლებულობს, როგორც, მაგალითად, მექანიკური დამახსოვრების უნარი.

თუ სიტყვების გასახსენებლად მოზრდილებს „გასაღებს“ (cue) მივცემთ, მათი გახსენების უნარიც საკმაოდ კარგად იფუნქციონირებს - „გასაღების“ როლს შეიძლება ასრულებდეს როგორც ფორმალური ელემენტი (პირველი ბგერა ასო, რითმა), ასევე ლოგიკური (სინონიმი). მეორე მიდგომა უფრო ეფექტურია შეთვისების გასაუმჯობესებლად. რ. შულცი გვთავაზობს მასალოს ლოგიკურ განლაგებას და ინფორმაციის უფრო ღრმა „დამუშავებას.“ შედარებით ახალგაზრდა მოზრდილები

ეფექტურად იყენებენ ხატოვან ასოციაციებს. ამიტომ, საგნის აღწერა სათანადო სიტყვის დამახსოვრებისთვის ეფექტური გზაა. რ. შულცი და ზოგიერთი სხვა ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ უფროს მოზრდილთა პრობლემას დამახსოვრებისას ხშირად ყურადღების დეფიციტი წარმოადგენს (attentional deficit hypothesis) ამიტომ, მასალის შეთვისებისას უფრო ხანგრძლივად უნდა შევაჩეროთ მათი ყურადღება შესასწავლ მასალაზე. რაც უფროსია მოზრდილი, მით უფრო დიდ ინტერფენციულ გავლენას განიცდის ის და უფრო უჭირს ყურადღების განაწილება ერთდროულად რამდენიმე ამოცანაზე.

ხშირად მოზრდილ შემსწავლელს თავისი მეხსიერების რწმენა არა აქვს. მას უნდა გააგრძელოს დამახსოვრება იმავე მეთოდით, რასაც ბავშვობასა და ახალგაზრდობაში იყენებდა. თუ მასწავლებელმა აუხსნა მისთვის უფრო მოხერხებული დამახსოვრება - გახსენების მეთოდები, სწავლების შედეგები უმჯობესდება. იმისთვის, რომ ირწმუნოს, მას განსხვავებული, მაგრამ საკმაოდ კარგი მეხსიერება აქვს, რომ დაიჯეროს თავისი სწავლის უნარი, საუკეთესო საშუალებაა მისი პროგრესის დემონსტრირება.

საერთოდ, სწავლება, ბუნებრივია, უნდა ითვალისწინებდეს შემსწავლელთა სურვილებს, მაგრამ განსაკუთრებით ეს მოზრდილთა სწავლებას ეხება. ამიტომ, კარგია, თუ წიგნს ისეთ სტრუქტურა აქვს, რომელიც გარკვეული ცვლილების, კორექტივების, შემსწავლელთა მოთხოვნილებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. მოზრდილთა წიგნი გამიზნული უნდა იყოს აზრიანი შემსწავლელისათვის, იგი უნდა მასთან „თანამშრომლობის,“ დიალოგის საშუალებას იძლეოდეს.

ზოგიერთ ფსიქოლოგი თვლის, რომ მოზრდილთა გონებრივი ფორმირება დამთავრებულია. მაგრამ, უფრო თანამედროვე კვლევები ამტკიცებენ, რომ მოზრდილთა გონება უწყვეტად იცვლება, ვითარდება. ლოგიკური აზროვნების გამოყენება პარალელურად (იმიტაცია, თამაში, არაენობრივ ამოცანებზე ყურადღების გადართვა), ძალიან კარგ შედეგებს იძლევა მოზრდილთა სწავლებისას.

მეორე მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოზრდილს ბავშვზე ბევრად უფრო უჭირს ენის ცოდნასა და ფლობას შორის ბარიერის გადალახვა. ის ზედმეტად „გონივრულად“ აყალიბებს გამონათქვამებს, რის გამოც მისი მეტყველება ნელდება, მასში მეტი მერყეობა და წუხილი, შფოთვაა (anxiety), ვიდრე უფრო ახალგაზრდა შემსწავლელთან.

შ. შათირიშვილი ასახელებს მოსწავლეების სწავლის ისეთ მოტივებს, როგორცაა სოციალური (მომავალი კარიერის ან სხვა პრაქტიკული გამოყენების) და სასწავლო (საინტერესო და სასარგებლო სასწავლო მასალები, სწავლის პროცესში და ა. შ) იგი ასევე ამახვილებს ყურადღებას ცნობისმოყვარეობის როლზე. ეს მოტივები მოზრდილთათვის მნიშვნელოვანია.

თუ იმ მოზრდილთა სწავლის მოტივებსაც გავითვალისწინებთ, ვინც იძულებულია უცხო ენა ისწავლოს პროგრამით, მივიღებთ, ისეთ მოტივსაც, როგორცაა სწავლის წარმატებით დამთავრება. სასურველია, სახელმძღვანელოში მოთავსებული ტექსტები ძირითადად იმ სახის იყოს , რითაც დაინტერესებულები არიან ბავშვები. ენებია: 1. იუმორისტული მოთხრობები; 2. ანეკდოტები; 3. დეტექტივები; 4. მელოდრამული, ლირიკული ხასიათის მოთხრობები; 5. კურიოზული სახის ინფორმაციები.

მაგრამ შეძლებისდამიხედვით, ამ დავალებებს უფორ კომუნიკაციური ხასიათი უნდა მივცეთ. მაგ.: მოვუყვებთ ტექსტი იმ შემსწავლელებს, ვისაც ამა თუ იმ მიზეზის გამო (გაცდენა, გაკვეთილის არცოდნა) ის არ წაუკითხავთ, შემდეგ კი ვუპასუხოთ მათ კითხვებს გაუგებარი დეტალების შესახებ.

მოზრდილ შემსწავლელთათვის მოსმენით გაგება ყველაზე ძნელი უნარ-ჩვევაა, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ ასაკში იწყებს უცხო ენის დაუფლებას, ან ვინც მას ადრეც სწავლობდა, მაგრამ მისთვის მიუწვდომელი იყო ჩანაწერების გამოყენება. ამ უნარ-ჩვევის ყველა შემავალი კომპონენტი პრაქტიკულად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. სახელდობრ:

- სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების გამოცნობა (განსაკუთრებით სწრაფი და გაურკვეველი წარმოთქმისას);
- მოსმენილის სემანტიზაცია;
- კონტექსტზე დაყრდნობით უცნობი ელემენტების მნიშვნელობის დადგენა;
- მთავარი აზრის გამოტანა გარკვეული გაუგებარი ნაწილების მიუხედავად;
- მოსმენილის დამახსოვრება.

სწავლების დაწყებისთანავე ნაცნობ ენობრივ მოვლენებზე დაყრდნობით მოსასმენი მასალის პარალელურად უნდა გამოვიყენოთ რეალური მოსასმენი მასალა, საიდანაც შემსწავლელი მეტ ენობრივ მასალას და მათ სემანტიკას თანდათანობით უფრო და უფრო ღრმად ჩაწვდება.

უცხო ენების სწავლების მიზნები განსხვავებულ ასახვას პოულობს შემსწავლელთა ასაკის მიხედვით. თუ ბავშვები ყოველ ეტაპზე ეუფლებიან გარკვეული ოდენობის მასალას იმისათვის, რომ სწავლის დამთავრებისას მიაღწიონ კომუნიკაციურ დონეს, ასეთ აგებულების სახელმძღვანელოთა მწკრივს, რომელშიც უმაღლეს დონემდე ასვლამდე, ყველა საჭირო სფეროში კომუნიკაციის დონე არ იქნება მიღწეული, ჩვენ პირობითად „მემკვიდრეობით“ ვუწოდებთ. ხანგრძლივი სწავლების პროცესში, ისე როგორც ბავშვთა სწავლებაში, ასეთი მიდგომა ყველაზე ეფექტურია.

მოზრდილთა სწავლების ერთ ეტაპზე მიღწეული უნდა იქნეს მინიმალური კომუნიკაციის დონე მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლების პრაქტიკული მიზანი ვერ განხორციელდება. ჩვენი აზრით, მინიმალური კომუნიკაციის დონე ნიშნავს იმ მდგომარეობას, როცა საკმაოდ შეზღუდული საშუალებით შემსწავლელი შეძლებს გაუგოს და გააგებინოს პარტნიორს კომუნიკაციის ძირითად სფეროებში. თუ პარტნიორის გამონათქვამი გაუგებარია ან თუ საკუთარ სიტყვათა მარაგი არ არის საკმარისი, წერილობითი კომუნიკაციის შემთხვევაში, მან უნდა მიაღწიოს ინფორმაციის გაგება-მოწოდებას ლექსიკონის ან სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით. ზეპირი კომუნიკაციის შემთხვევაში კი მას შეუძლია აზრთა გაცვლისას გამოიყენოს დამატებითი კითხვები, პარაფრაზი, ტესტები და საგნები ურთიერთგაგების მისაღწევად. არსებული მოზრდილთა სახელმძღვანელოები აგებულია „მემკვიდრეობით“ პრინციპზე. ამიტომ დაწყებით შემსწავლელს ისინი არ აძლევენ საშუალებას სწავლების პირველ ეტაპზე მინიმალურ კომუნიკაციის დონეს მიაღწიოს. ერთი დონის დაუფლებისას ის ცოტაოდენ სამეტყველო თემატიკას და ფუნქციას შეისწავლის. ამით საგანმანათლებლო მიზნებიც ფართოვდება. შემსწავლელი ენის წყობის, ამ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიღების გარდა, შემსწავლელს სურთ გამოიყენონ ეს ენა სხვადასხვა სფეროებიდან ინფორმაციის მისაღებად (მეცნიერება, ტექნიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა და ა. შ). რადგან სახელმძღვანელოებში მოტანილი სიახლე მალე ძველდება, სასურველია მათი განახლება წიგნის ხელახალი გამოცემის შემთხვევაში. ამას გარდა, თვით წიგნი შესაძლოა შეიცავდეს დავალებებს ჟურნალ-გაზეთებში სიახლის ამოკითხვაზე, მათ შესახებ შემდეგ ჯგუფის წინაშე გამოსვლაზე. ეს საშუალებას

მოგვცემს თანამედროვე ინფორმაციას არ ჩამოვრჩეთ და რეალურად განვახორციელოთ სწავლების განმავითარებელი და საგანმანათლებლო მიზნები.

აღმზრდელობითი მიზანი, თითქოსდა უმნიშვნელო, მოზრდილთა ასაკში მაინც გარკვეულ როლს ასრულებს, „წუხილის,“ მორცხვობის მოხსნის, ნაკლები კომუნიკაბელურობის დამღვევის, საკუთარი შეთვისების უნარის რწმენის პრობლემები, რომლებიც სუსტია ბავშვთა სწავლებისას, ძალიან მწვავეა მოზრდილთათვის. ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე შეფერხებულია ან საერთოდ შეუძლებელია პრაქტიკული მიზნების განხორციელება. თამაში, განსაკუთრებით კი როლების მიხედვით თამაში, იუმორისტული ეპიზოდები, საინტერესო საკამათო თემები ეფექტური საშუალებებია ამ პრობლემის გადასაჭრელად.

შემსწავლელებს, განსაკუთრებით, მოზრდილებს, ხშირად აღიზიანებთ ის ფაქტი, რომ უცხოური ენის წყობა განსხვავდება დედაენისაგან. სახელმძღვანელომ უნდა აჩვენოს მათ ამ ენის სილამაზე, სიზუსტე, ლაკონიურობა... ამით შემსწავლელები ჩაწვდებიან დემოკრატიულობის მნიშვნელოვან პრინციპს - პლურალიზმს მიხვდებიან, რომ განსხვავებული არ ნიშნავს აუცილებლად ცუდს; ენის საშუალებით ისწავლიან სხვა ერების პატივისცემას.

სახელმძღვანელოს შედგენისას მასში სწავლების ყველა მიზნის სარეალიზაციო მასალა უნდა გამოვიყენოთ.

წასაკითხი ტექსტები უნდა იყოს ძირითადად ინფორმაციული ხასიათის, ემოციური (სასაცილო, ლირიკული ან მძაფრი სიუჟეტით). ისინი სათანადო ინტელექტუალურ დონეს უნდა შეესაბამებოდეს, რაც მოზრდილთა შემთხვევაში რთული მისაღწევია, მათი ცოდნა-განათლების დონის გათვალისწინებით. თუმცა, მაინც შესაძლებელია ისეთი „ოქროს შუაღედის“ პოვნა, რომელიც უმრავლესთა ინტელექტუალურ დონეს შეეფერება. თემატურად და თემაში ჩაწვდომის სიღრმით ტექსტები უნდა განსხვავდებოდეს საბავშვო სახელმძღვანელოებისგან. იგივე მოთხოვნა უნდა წაუყენოთ სალაპარაკო სავარჯიშოებსაც. ვთქვათ, ისეთ ტრადიციული თემა, როგორცაა ოჯახი, არ უნდა იზღუდებოდეს ოჯახის წევრების ჩამოთვლა-აღწერით, არამედ მათ ურთიერთობებზე ოჯახურ პრობლემებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ თემებს, როგორცაა: ეკონომიკა, პოლიტიკა, წესრიგის დაცვა, რელიგია, რწმენა და ა. შ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დავალებები შეიცავდეს გონების, აზროვნების განმავითარებელ სავარჯიშოებს. ასეთი დავალებები მასალის უკეთ დამახსოვრებას უწყობს ხელს და ზრდის სწავლების მოტივებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Алхазшвили А. А., «Психологические основы обучения устной иностранной речи.» Тбилиси, «Ганатлеба,» 1974, с. 159.
2. Имедадзе Н. В., «Экпериментально-психологические исследования овладения и владения вторым языком,» Тбилиси, «Мецნიереба», 1979, с. 230.
3. Рахманов И. В., «Обучение устной речи в инностранном языке,» Высшая школа, 1980. с. 120.
4. Byrnes H., “ The role of listening Comprehension, ” Foreign Language Annals, 1984, p. 317-329.
5. Dogonadze N., “Methods of Teaching Languages as the Guidelines of Creating EFL Textbooks, ” Tbilisi, “Alma Mater, ” 1996, p.102.
6. კავსაძე თ., „უცხოური ენის სახელმძღვანელოს სტრუქტურა და თავისებურებანი,“ „უცხო ენების სკოლაში,“ 1988. #3, გვ. 310.
7. კობახიძე დ., „გაცნობიერებული იმიტაციურ-ავტომატური აქტივობის ადგილი უცხოური ენების სწავლების პროცესში,“ „უცხოური ენები სკოლაში,“ 1976, #1, გვ. 43048.

Article received: 2016-05-30